საბაგირო გზა

ჰაერში თოკით გაუბამთ,

ზედ სახლი დაუკიდიათ;

იმ საოცარი ტრანსპორტით

ცეროდენებიც მიდიან.

- ცას ავწვდებიო აქედან, -

ხელს მაღლა იშვერს მინდია.

შოთა ამირანაშვილი

ავტომანქანა

დათუნიამ იყიდა

ლურჯი ავტომანქანა,

ვერაფერი გაუგო-

აქეთ-იქით აქანა.

მიეხმარა კოდალა,

დაშალეს და აკეთეს-

ხან ბორბალი დაკარგეს,

ხან კარები ჩაკეტეს...

ბოლოს ავტომანქანა

სკამად გადააკეთეს!

მაია კარსელი

მატარებლობანა

ჩუ-ქუ, ჩუ-ქუ, ნახე,

ორთქლმავალი მოდის,

ჩაუჯექი ჩქარა,

არ დაგიწყებს ლოდინს!

ჩავუსხედით ყველანი

ესეც ჩვენი ბარგია,

მატარებლით მგზავრობა

ძლიერ, ძლიერ კარგია.

სადგურია! მოვედით,

სეირნობა კმარა,

დადგა მატარებელი,-

გადმობრძანდით ჩქარა!

მაყვალა მრევლიშვილი